ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულო
G E O R G I A
MUNICIPALITY COUNCIL OF KHARAGAULI

წერილის ნომერი: **69-69233407**
თარიღი: **06/12/2023**

ადრესატი: ინგა ბერაძე
მისამართი: დ. ხარაგაული

ანგარიში

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოში 2023 წელს შემოსულ საჯარო ინფორმაციის მოთხოვნაზე რეაგირების მდგომარეობის შესახებ

საქართველოს კანონის ,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 49–ე მუხლის მოთხოვნათა საფუძველზე წარმოგიდგენთ ანგარიშს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოში 2023 წელს შემოსულ საჯარო ინფორმაციის მოთხოვნებზე რეაგირების მდგომარეობის შესახებ.

მოგახსენებთ, რომ საკრებულოში საჯარო ინფორმაციის მოთხოვნებზე რეაგირება მიმდინარეობდა საქართველოს კანონის ,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 49 -ე მუხლის მოთხოვნათა დაცვით .

მიმდინარე წლის განვლილ პერიოდში საკრებულოში საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით შემოსულია 20 წერილობითი განცხადება 4 ერთეულით ნაკლები გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით.

საკრებულოში საჯარო ინფორმაციის გაცემისა და საჯარო ინფორმაციაში შესწორების შეტანის მოთხოვნა ან მოთხოვნაზე უარის თქმის შემთხვევები არ დაფიქსირებულა.

ყველა მოთხოვნა დაკმაყოფილებული იქნა კანონით განსაზღვრულ ვადაში.

ორი განცხადება ქვემდებარეობით გადაეგზავნა მუნიციპალიტეტის მერიას.

საანგარიშო პერიოდში საკრებულოში საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის შესახებ შემოსულ განცხადებაზე, უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილება არ მიღებულა.

აღნიშნულ პერიოდში საჯარო ინფორმაციის მოთხოვნით საკრებულოს მომართავდა სახელმწიფო უწყებები, არასამთავრობო ორგანიზაციები და ფიზიკური პირები.

მოთხოვნილი ინფორმაციის უმეტესი ნაწილი შეეხებოდა საკრებულოს საქმიანობის შესახებ ინფორმაციას, საკრებულოს ხარჯებს, თანამდებობრივ სარგოებს, საკრებულოს საქმიანობის

5600, 9აპრილის ქ. N15,
N15, 9 APRILI STR. KHARAGAULI
TEL.:(+995) 22 14 44
EMAIL: KHARAGAULICOUNCIL@GMAIL.COM

საჯაროობის უზრუნველყოფის შესახებ ინფორმაციას, საკრებულოს აპარატის საჯარო მოხელეთა, საკრებულოს თანამდებობის პირთა და საკრებულოს წევრთა შესახებ სხვადასხვა სახის ინფორმაციის მიწოდებას და სხვა.

საანგარიშო პერიოდში საქართველოს კანონის ,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 49–ე მუხლის პირველი პუნქტის ,,დ“, ,,ე“, ,,ვ“ და ,,ზ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძვლით საკრებულოს მიერ საჯარო ინფორმაციის მოთხოვნასთან დაკავშირებით რაიმე გადაწყვეტილება მიღებული არ ყოფილა.

მანანა ბარბაქაძე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

5600, 9აპრილის ქ. N15,
N15, 9 APRILI STR. KHARAGAULI
TEL.:(+995) 22 14 44
EMAIL: KHARAGAULICOUNCIL@GMAIL.COM